ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), საქართველო
კაპოდისტრიის სახელობის ათენის ეროვნული უნივერსიტეტი (NKUA), საბერძნეთი

ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირება

ერთობლივი ხარისხი ენიჭება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (საქართველო) და
კაპოდისტრიის სახელობის ათენის ეროვნული უნივერსიტეტის (საბერძნეთი) მიერ

2024

პროგრამის დასახელება	ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მეცნიერების დოქტორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამაზე სწავლისთვის გათვალისწინებული სემესტრების მინიმალური რაოდენობაა 6. **სასწავლო კომპონენტი – 55 ECTS კრედიტი** **სავალდებულო კურსები – 50 ECTS კრედიტი** ● შესავალი კვლევის მეთოდებში (Advanced) - 5 ECTS კრედიტი; ● კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები I (Advanced): შემთხვევის ანალიზი (Case study) - 5 ECTS კრედიტი; ● კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები II (Advanced): პრაქტიკის კვლევა (Action Research) - 5 ECTS კრედიტი; ● ლიდერობა და ადმინისტრირება კვლევის პრაქტიკისა და პოლიტიკის გაუმჯობესებისათვის საგანმანათლებლო და მომიჯნავე სექტორებში - 5 ECTS კრედიტი; ● კვლევის გლობალური ინოვაციები საგანმანათლებლო და მომიჯნავე სფეროებში - 5 ECTS კრედიტი; ● განათლება მდგრადი განვითარებისთვის - 5 ECTS კრედიტი; ● პროფესორის ასისტენტობა - 5 ECTS კრედიტი; ● სემინარი - 5 ECTS კრედიტი; ● ზამთრის სკოლა - 5 ECTS კრედიტი; ● ზაფხულის სკოლა - 5 ECTS კრედიტი; **არჩევითი მოდული: 5 ECTS კრედიტი** 5 ECTS კრედიტის მოცულობით შეიქმნება არჩევითი სასწავლო კურსი სტუდენტთა საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი** ● კვლევითი პროექტი 1; ● კვლევითი პროექტი 2; ● მონაწილეობა კონფერენციებში/ნაშრომების გამოქვეყნება. ● სადოქტორო ნაშრომი.
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**რუსუდან სანაძე,** ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), საქართველო; **აპოსტოლია გალანი,** პროფესორი, კაპოდისტრიის სახელობის ათენის ეროვნული უნივერსიტეტი, საბერძნეთი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	პროგრამა ორიენტირებულია განათლების სფეროს პროფესიონალებზე (მასწავლებლები, განათლების სფეროს ახალგაზრდა და გამოცდილი აღმასრულებლები, გადაწყვეტილების მიმღები პირები და ა.შ.), რომლებსაც აქვთ კონკრეტული მიზნები: პროფესიული გამოცდილებისა და სამეცნიერო მიმართულებით წარმატების ერთმანეთთან დაკავშირება; მომავალი კარიერის განათლებისა და მეცნიერების თანაკვეთაზე დაგეგმვა; ინტელექტუალური გამოწვევების ძიება და პიროვნული ზრდა; საერთაშორისო საკომუნიკაციო ქსელებში ჩართულობა პროფესიული და პიროვნული განვითარებისთვის; და საბოლოოდ, დოქტორის ხარისხის მოპოვება. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:**

	1. მაგისტრის ხარისხი, რომლის მოპოვების წინაპირობაა სამაგისტრო ნაშრომის დაცვა; 2. მაგისტრის ხარისხი განათლების დარგში ან მინიმუმ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება განათლების სფეროში (ფორმალური ან არაფორმალური), საჯარო სექტორში, არასამთავრობო ორგანიზაციებში ან საგანმანათლებლო დაწესებულებაში; 3. ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე: რაც დასტურდება საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით (TOEFL iBT 110; IELTS 7,0) ან უნივერსიტეტის გამოცდით. აპლიკანტი შესაძლოა გათავისუფლდეს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი გამოცდიდან, თუ წინარე ხარისხი მოპოვებულია იმ პროგრამის დასრულების შემდგომ, რომელიც ოფიციალურად ისწავლებოდა ინგლისურ ენაზე; 4. პოტენციურ კანდიდატს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 10 ECTS/ან ექვივალენტი მოცულობის კრედიტი კვლევისა და პედაგოგიკის დარგებში სამაგისტრო ან ექვივალენტ საფეხურზე; 5. კანდიდატის მიერ პროგრამის განმავლობაში შესასრულებელი საკვლევი თემის განვითარების გეგმა (1500-2000 სიტყვა). **დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:** 1. სამოტივაციო წერილი, რომელიც აღწერს აპლიკანტის წინარე საგანმანათლებლო კარიერას, პროგრამით მისი დაინტერესების მიზანს, გრძელვადიან კარიერულ მიზნებსა და იმ მიმართულებებს, თუ როგორ დაეხმარება პროგრამა აპლიკანტს დასახული მიზნების მიღწევაში. (700 სიტყვა); 2. ორი სარეკომენდაციო წერილი; 3. წინადადება ორ უნივერსიტეტში იმ ორი შესაძლო სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ, რომლებმაც გამოხატეს ინტერესი; 4. აპლიკანტის რეზიუმე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სადოქტორო პროგრამა განათლებისა და მეცნიერების მმართველობა და ადმინისტრირება აკავშირებს თეორიასა და პრაქტიკას, აძლიერებს კვლევის კომპეტენციას განათლების, კვლევისა და მმართველობის პროფესიონალებისთვის. პროგრამა უზრუნველყოფს პროფესიონალების გამოცდილების ინტეგრაციას აკადემიურ სიზუსტესა და პრაქტიკულ გამოყენებასთან. პროგრამის სტუდენტები თანამშრომლობენ კვლევით ცენტრებსა და პროფესორებთან, უკავშირებენ მათ საკვლევ თემატიკას განათლებისა და ადმინისტრირებაში სოციალურ საჭიროებებს. ეს ყველაფერი კი საბოლოო სახეს იღებს ორიგინალური კვლევის ფორმით, რომელიც აუმჯობესებს და ავითარების განათლებისა და მეცნიერების მმართველობისა და ადმინისტრირების სფეროებს. პროგრამის დასრულების შედეგად, კურსდამთავრებული ყალიბდება მაღალკვალიფიციურ მკვლევრად, რომელიც აღჭურვილია პროფესიული და ტრანსვერსული უნარებით და მზადაა დასაქმდეს აკადემიასა და მის ფარგლებს გარეთ. პროგრამის კურსდამთავრებული ხელს უწყობს დარგის განვითარებას კრიტიკული საკითხების განხილვით, ახალი მიდგომებისა და

	ტენდენციების დანერგვით, პოლიტიკასა და პრაქტიკაზე ზემოქმედების გზით. პროგრამის კურსდამთავრებულის კვლევას წვლილი შექავს საზოგადოების განვითარებაში საგანმანათლებლო გამოწვევებზე აქცენტირებით, ინოვაციების ხელშეწყობისა და გლობალურ დონეზე, ადამიანური კაპიტალის გაძლიერების გზით.
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს ● განათლებისა და მეცნიერების ადმინისტრირების პრინციპების, თეორიების, ისტორიული პერსპექტივებისა და ინოვაციების ღრმა ცოდნა. ● პროფესიული და კვლევის ეთიკის საფუძვლიანი გააზრება.
უნარები	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია: ● უზრუნველყოს ახალი და რთული იდეების კრიტიკული ანალიზი, შეფასება და სინთეზი. ● განავითაროს ინოვაციური აზროვნება და პრობლემების გადაჭრის უნარები განათლების, კვლევისა და მეცნიერების ადმინისტრირების თანამედროვე გამოწვევების გადასაჭრელად გლობალურ დონეზე. ● კომუნიკაცია, როგორც წერილობით, ასევე, სიტყვიერად და საკუთარი კვლევის შედეგების გავრცელება.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია: ● ავტონომიურად შეიმუშაოს და ჩაატაროს კვლევა შესაბამისი სპეციალიზაციის სფეროში; ● იყოს ერთგული ეთიკური კვლევის ჩატარებისა და პასუხისმგებლიანი სამეცნიერო ადმინისტრირების პრაქტიკის, რაც უზრუნველყოფს აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და აკადემიური და ადმინისტრაციული საქმიანობის მიმართ სანდოობას.
სწავლება-სწავლის მეთოდები	● წიგნზე მუშაობის მეთოდები: დამოუკიდებელი და განმარტებითი კითხვა. ● პრაქტიკული მეთოდები: სამუშაო ჯგუფი, პროფესიული პრაქტიკა. ● ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები. ● შემთხვევის შესწავლა (Case study). ● პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. ● პროექტზე დაფუძნებული სწავლება. ● ელექტრონული სწავლება (e-learning).
შეფასების სისტემა	**სასწავლო კომპონენტი:** ● სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები შეესაბამება ქართულ და ბერძნულ კანონმდებლობას უმაღლესი განათლების სფეროში და ასევე, თსუ-სა და NKUA-ას შესაბამის შიდა სამართლებრივ რეგულაციებს; ● სტუდენტები იღებენ ECTS კრედიტებს 100 ქულიანი შეფასების სისტემის ფარგლებში. ● შეფასების ფორმაში შედის შემდეგი კომპონენტები: აქტივობა, შუალედური გამოცდა, პრაქტიკული და კვლევითი დავალებები, დასკვნითი გამოცდა, პრეზენტაციები და ა.შ. ● სტუდენტები ფასდებიან პრაქტიკული და თეორიული ცოდნის საფუძველზე. ● შუალედური გამოცდების ზოგიერთი ნაწილი განხორციელდება/შეიძლება განხორციელდეს ონლაინ სინქრონულად ან ასინქრონულად (თსუ-ის ელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning) და NKUA-ის ელექტრონული პლატფორმის (e-class) გამოყენებით). მთაავრია მიზანია დასკვნითი შეფასება განხორციელდეს წერილობით ანგარიშებზე, ესეებზე და სხვ.-ზე დაყრდნობით.

	<table><tr><td colspan="3">**შეფასების სისტემა**</td></tr><tr><td>A</td><td>91 -100</td><td>ფრიადი</td></tr><tr><td>B</td><td>81 -90</td><td>ძალიან კარგი</td></tr><tr><td>C</td><td>71 -80</td><td>კარგი</td></tr><tr><td>D</td><td>61 -70</td><td>დამაკმაყოფილებელი</td></tr><tr><td>E</td><td>51 - 60</td><td>საკმარისი</td></tr><tr><td>FX</td><td>41 - 50</td><td>ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;</td></tr><tr><td>F</td><td>0 – 40</td><td>ჩაიჭრა. სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</td></tr></table> მინისტრის N3 ბრძანებით (2007 წ.) FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებითი გამოცდის გავლა. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX შეფასების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ჩაატაროს დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. მოცემული ვალდებულება არ მოქმედებს დისერტაციაზე, სადიპლომო პროექტზე/ნამუშევარზე, შემოქმედებით/სპექტაკლზე ან სხვა სამეცნიერო პროექტზე/ნამუშევარზე. დასკვნითი გამოცდისას მიღებული ქულა არ ემატება სტუდენტის მიერ მიღებულ დამატებით საგამოცდო შეფასებას. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის საბოლოო შეფასება და ასახულია მთლიან შეფასებაში. საგანმანათლებლო კომპონენტის ჯამურ შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდის შეფასების გათვალისწინებით სტუდენტის შეფასება სრულდება F-0 ქულით. F-შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა თავიდან უნდა აიღოს კრედიტი. **კვლევითი კომპონენტი ფასდება ორი უნივერსიტეტის მიერ დისერტაციის დაცვისათვის წაყენებული წინაპირობების საფუძველზე შეთანხმებული მოთხოვნების გათვალისწინებით.**
დასაქმების სფეროები	ერთობლივი სადოქტორო პროგრამა კურსდამთავრებულებს სთავაზობს დასაქმების მრავალფეროვან შესაძლებლობებს, აღჭურავს მათ უნარების ფართო სპექტრითა და საერთაშორისო შესაძლებლობებით, აქცევს მათ კონკურენტუნარიან კანდიდატებად სხვადასხვა პროფესიულ სფეროში. სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს განათლების დარგის ნებისმიერი ტიპის/კვლევით ან საგანმანათლებლო/სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებაში, წარმართოს საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროცესი ეროვნულ და განათლების საერთაშორისო სექტორში. პროგრამის კურსდამთარებულს შეუძლია დასაქმდეს ხელმძღვანელ პოზიციებზე ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში (სკოლები, უნივერსიტეტები, მუზეუმები, სამეცნიერო ფესტივალები, ტექნოლოგიური დაწესებულებები). კურსდამთავრებული შეიძლება იყოს მეცნიერებისა და განათლების პოლიტიკის ანალიტიკოსი, საერთაშორისო განათლების პოლიტიკის კონსულტანტი და სხვა.
სწავლის საფასური	10 000 ევრო (ექვივალენტი ლარში)/წელიწადში.
პროგრამის განხორციელებისათვის	**პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა:** თსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი – 8; NKUA-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი – 7.

საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა ხორციელდება თსუ-სა და NKUA-ს საუნივერსიტეტო კორპუსებში. პროგრამის მმართველი საბჭო: ● რუსუდან სანაძე, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), საქართველო ● ირმა გრძელიძე, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), საქართველო ● აპოსტოლია გალანი, პროფესორი, კაპოდისტრიის სახელობის ათენის ეროვნული უნივერსიტეტი (NKUA), საბერძნეთი ● ევანგელია მავრიკაკი, პროფესორი, კაპოდისტრიის სახელობის ათენის ეროვნული უნივერსიტეტი (NKUA), საბერძნეთი **საბიბლიოთეკო ბაზები:** სრული წვდომა გამოწერილ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, როგორიცაა ერთიანი საძიებო სისტემები, ელექტრონული წიგნები, ელექტრონული ჟურნალები, ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზები და სხვა ელექტრონული რესურსები, უზრუნველყოფილია მხოლოდ თსუ IP ქსელისა და NKUA IP ქსელის მეშვეობით.
საკვლევი თემატიკა (სავარაუდო)	განათლება: ლიდერობა და ადმინისტრირება განათლებაში; კურიკულუმის განვითარება და ინოვაცია; განათლების ხარისხის უზრუნველყოფა; განათლების პოლიტიკა და მისი გავლენა ინსტიტუციებზე. მეცნიერების ადმინისტრირება: კვლევის მართვისა და დაფინანსების სტრატეგიები; ინოვაციები და ტექნოლოგიური ტრანსფერი აკადემიურ გარემოში; აკადემიასა და ინდუსტრიას შორის თანამშრომლობა; სამეცნიერო კომუნიკაცია და საზოგადოების ჩართულობა. მმართველობა: საგანმანათლებლო დაწესებულებებში მმართველობის სტრუქტურების შედარებითი ანალიზი; პოლიტიკის ანალიზი და განვითარება განათლებისა და მეცნიერების ადმინისტრირების კონტექსტში; გადაწყვეტილების მიღების პროცესები აკადემიურ მმართველობაში. გამჭოლი თემები: მმართველობის, განათლებისა და მეცნიერების ადმინისტრირების გლობალური პერსპექტივები; ეთიკური მოსაზრებები საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევებში; ინტერდისციპლინური მიდგომები ამ სფეროებში კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად. ***საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს დახმარებას გაუწევს შესაბამისი სფეროს მიმართულებით სამეცნიერო თანახელმძღვანელი.***
დამატებითი ინფორმაცია	წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მხარდაჭერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q (IBRD) პროექტის ფარგლებში (პროექტის ნომერი: GE-MESCS-212280-CS-QCBS საკონსულტაციო სერვისები უმაღლესი განათლების

	ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის), რომელიც საზოგადოებას სთავაზობს მთელი მსოფლიო მასშტაბით მეცნიერებთან, მკვლევარებთან და ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობებს. ერთობლივი სადოქტორო პროგრამა შექმნილია განათლებისა და კვლევის პოლიტიკისა და პრაქტიკის კომპლექსური გამოწვევების მოსაგვარებლად, რაც მოითხოვს სხვადასხვა პერსპექტივებსა და გამოცდილებას. პროგრამა მიზნად ისახავს შესაბამისი ცოდნისა და რესურსების გაერთიანებას მაღალი ხარისხის კვლევის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, ხელი შეუწყოს კულტურათაშორისი თანამშრომლობების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ქვეყნის ინსტიტუციებს შორის პარტნიორობის ხელშეწყობის გზით, რაც, საერთო ჯამში, აძლიერებს საერთო აკადემიურ გამოცდილებას. პროგრამის განხორციელების მიმართულებით წამყვანი ინსტიტუციაა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), საქართველო, რომელსაც თანა-ხელმძღვანელობას უწევს კაპოდისტრიის სახელობის ათენის ეროვნული უნივერსიტეტი (NKUA), საბერძნეთი. საერთაშორისო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას ითანამშრომლონ საერთაშორისო მასშტაბით მეცნიერებთან, მკვლევარებთან და ინსტიტუტებთან. ამ სადოქტორო პროგრამის განსაკუთრებული მახასიათებლები განათლების მეცნიერებათა სხვა პროგრამებთან შედარებით მოიცავს შემდეგს. ● პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს საერთაშორისო განათლებისა და კვლევის შესახებ ჰოლისტიკური ხედვას. ● პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკული სადოქტორო უნარების განმავითარებელი კომპონენტი, რომელიც მოიცავს რეალურ სამუშაო გარემოში რეალური პრობლემების კვლევას; ● პროგრამის განმახორციელებელი საერთაშორისო გუნდი ჩართულია ისეთ კვლევით პროექტებში, სადაც დოქტორანტებს შეუძლია დაკავდნენ კვლევით ასისტენტებად, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ პუბლიკაციების გამოქვეყნებას. ● ზამთრისა და ზაფხულის სკოლები გამოიყენება, როგორც დიალოგის პლატფორმა და მოიცავს უნარების აქსელერაციის შესაძლებლობებს ყველა მიღების დოქტორანტებისთვის. ● წახალისებულია შედარებითი კვლევები. ● სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან დასაქმების მეტი შესაძლებლობით პროფესორებსა და სტუდენტებს შორის ჩამოყალიბებული საერთაშორისო საკომუნიკაციო ქსელის არსებობის გზით. ● გლობალური მიდგომა არის ინოვაციური განათლებისა და კვლევის პოლიტიკისა და პრაქტიკის უფრო ყოვლისმომცველი გაგების ხელშეწყობისთვის. ● განათლების, კვლევის პოლიტიკისა და პრაქტიკის ინტეგრაცია მიუთითებს ჰოლისტურ და ინტერდისციპლინურ მიდგომაზე, რაც შეიძლება იყოს ინოვაციური, ვინაიდან, ის წაახალისებს სტუდენტებს, აღმოფხვრან თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების დაკავშირებისას არსებული ხარვეზები, რაც ხელს უწყობს დარგის სრულყოფილ გააზრებას. ● განსაკუთრებული აქცენტი "კვლევის პოლიტიკაზე" ხაზს უსვამს კვლევითი საქმიანობის წარმართვისთვის საჭირო პოლიტიკის შემუშავებისა და შეფასების მნიშვნელობას. ეს მიდგომა შეიძლება ჩაითვალოს ინოვაციურად დოქტორანტების მომზადების პროცესში,

	ვინაიდან ის ხელს უწყობს დოქტორანტების მიერ კვლევის, პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას შორის კომპლექსურ ნავიგაციას. • საერთაშორისო პროგრამა ხშირად იძლევა გლობალურ მეცნიერებთან, მკვლევარებთან და ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს. ეს კოლაბორაციული ასპექტი შეიძლება ჩაითვალოს ინოვაციურად, რადგან ის სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა პერსპექტივებს, მეთოდოლოგიასა და მიდგომებს, ამდიდრებს მათ აკადემიურ გამოცდილებას. • კვლევით ინსიტუტებსა და საგანმანათლებლო (ფორმალურ და არაფორმალურ) დაწესებულებებს შორის ურთიერთკავშირი იძლევა უამრავ შესაძლებობას დოქტორანტი სტუდენტებისთვის მათი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

სასწავლო გეგმა/პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი												
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო საათები			დამოუკიდებელი ლექცია	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი/სამუშაო ჯგუფი	გამოცდები						
სავალდებულო კურსები – 50 ECTS კრედიტი												
1		შესავალი კვლევის მეთოდებში (Advanced)	5	15	30					√		აპოსტოლია გალანი ევანგელია მავრიკაკი
2		კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები I (Advanced): შემთხვევის ანალიზი (Case study)	5	15	30						√	ევანგელია მავრიკაკი ჯორჯ სიდერიდის
3		კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები II (Advanced): პრაქტიკის	5	15	30					√		რუსუდან სანაძე მარიეტტა პაპადატოუ

		კვლევა (Action Research)										პასტოუ
4		ლიდერობა და ადმინისტრირება კვლევის პრაქტიკისა და პოლიტიკის გაუმჯობესებისათვის საგანმანათლებლო და მომიჯნავე სექტორებში	5	15	30					√		რუსუდან სანაძე ნიკოლოზ ფარჯანაძე თომას ბაბალის კონსტანდინა თსოლი
5		კვლევის გლობალური ინოვაციები საგანმანათლებლო და მომიჯნავე სფეროებში	5	15	30						√	ირმა გრძელიძე პოლ გიბსი
6		განათლება მდგრადი განვითარებისთვის	5	15	30					√		ირმა გრძელიძე რუსუდან სანაძე გიორგი შარვაშიძე
7		პროფესორის ასისტენტობა	5								√	ზაქარია ქიტიაშვილი იზაბელა პეტრიაშვილი ივანე მინდაძე
8		სემინარი	5								√	აპოსტოლია გალანი ევანგელია მავრიკაკი კოსტას სკორდოულის იზაბელა პეტრიაშვილი

												ივანე მინდაძე გიორგი შარვაშიძე
9		ზამთრის სკოლა	5							√	√	მმართველი საბჭო
10		ზაფხულის სკოლა	5							√	√	მმართველი საბჭო
არჩევითი კურსები - 5 ECTS კრედიტი												
9		5 ECTS კრედიტის მოცულობით შეიქმნება არჩევითი სასწავლო კურსი სტუდენტთა საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.	5							√	√	პერსონალის წარმომადგენლები ორივე უნივერსიტეტიდან
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი												
		კვლევითი პროექტი 1										
		კვლევითი პროექტი 2							კვლევითი პროექტი 1			
		მონაწილეობა კონფერენციებში/ნაშრომების გამოქვეყნება.										
		სადოქტორო ნაშრომი							კვლევითი პროექტი 1 კვლევითი პროექტი 2			